ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. ც, სიითი N

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.05.2015

საჩივრის რეგისტრაციის №035/15

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. რ-ის მიმართ /სიითი /

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ-თვის "ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 11 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ც-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. რ-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. რ მიზანმიმართულად ახდენს მისი პიროვნების დისკრედიტაციას ადვოკატისათვის შეუფერებელი მეთოდებით.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მ. რ გარდა იმისა, რომ მას საზოგადოებაში და სასამართლო პროცესებზე აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, წერილობითაც ადასტურებდა აღნიშნულს. 2014 წლის 02 მაისის, 2014 წლის 04 ივნისის და 29 სექტემბრის სასამართლოსადმი და თბილისის პროკურორის სახელზე მიმართულ განცხადებებში ადვოკატი მ. რ საჩივრის ავტორის შესახებ

წერს: „...ვერაგი პიროვნება“, მისი ქმედებები „მის სითავხედეზე მიუთითებს“, „აღკვეთის ღონისძიების დროს წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველგვარ მორალს, სინდისს და ადამიანურობასაა მოკლებული“, „რამდენჯერ უნდა შერჩეს დ. ც-ს სხვისი ცემა, სხეულის დაზიანება, დაშანტაჟება და ათასი სხვა უბედურება!“, „...ც. წარმოადგენს შსს ორგანოს მუშაკს, რომელიც ანალოგიური ქმედებისათვის არის გამოგდებული სამსახურიდან“.

2. **მოწმე მ. ო.-ის პოზიცია:**

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე მ. ო-მა განმარტა, რომ 2015 წლის 29 აპრილს დაესწრო დ. ც-ის საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომას, სადაც იმყოფებოდა ადვოკატი მ. რ. მოწმის განმარტებით, სასამართლო სხდომის დაწყებამდე, სანამ მოსამართლე დარბაზში შემოვიდოდა, ადვოკატმა მ. რ-მა დარბაზში მსხდომებს მიმართა, რომ ,,დ. ც-ის, მაგ მკვლელის გვერდზე არ უნდა იყოთ მხარდასაჭერად მოსულებიო“.

3. **მოწმე მ. ჯ.-ის პოზიცია:**

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე მ. ჯ-მ განმარტა, რომ დ. ც-ს ადვოკატმა მ. რ-მა „მკვლელი, ვერაგი, სამსახურიდან გამომგდებული, თავხედი“ უწოდა.

4. **მოწმე მ. კ.-ს პოზიცია:**

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე მ. კ-მ განმარტა, რომ ის ესწრებოდა საქალაქო სასამართლოში დ. ც-ის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო სხდომას. თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფნისას მ. რ-მა დ. ც-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მას „მკვლელი, სამსახურიდან გამოგდებული, უსინდისო, თავხედი“ უწოდა და მის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობდა. მოწმე ასევე დაესწრო დ. ც.-ის საქმესთან დაკავშირებულ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო სხდომას. სხდომის დაწყებამდე, ადვოკატმა მ. რ-მა დ. ც-ზე განაცხადა, რომ „ვის გულშემატკივრობთ, მკვლელი და უსინდისოაო“. მოწმის განმარტებით, სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატ მ. რ.-ს დ. ც.-ს მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები არ გამოუყენებია.

5. **მოწმე ნ. ც.-ის პოზიცია:**

საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ნ. ც-მ განაცხადა, რომ ის არის დ. ც-ის მამა. მოწმე დაესწრო თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი შვილის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომას. მოწმის განმარტებით, სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატმა მ. რ-მა დ. ც-ს „მკვლელი“ უწოდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის დაწყების წინ ადვოკატი მ. რ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა დ. ც-ს.

6. **ადვოკატის პოზიცია:**

6.1 ადვოკატ მ. რ-ის 2015 წლის 01 ივნისის წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, ის იცავს, ახლობლის, დაზარალებულ ლ. ფ-ის ინტერესებს, რომელიც ამავე დროს არის მ. ბ.

6.2 ადვოკატის განმარტებით, დ. ც-მ ჩაიდინა დანაშაული და ის ცრუ ბრალდებებითა და დასმენებით უსაფუძვლოდ ცდილობს მორალსა და სინდისს მოკლებული საჩივრებით თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისგან.

6.3 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო პროცესებზე ის გულშემატკივრობდა თავის ნათესავს და ცდილობდა, მისი როგორც დაზარალებულის ინტერესები დაეცვა. მან „ყველაფერს თავისი სახელი უწოდა“, რაც საჩივრის ავტორის მიმართ გამოთქმულ ფრაზებს ეხება, თუმცა როგორც ადვოკატმა შესაძლოა გადაამეტა შეფასებას.

6.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივარში დ. ც თავის უფლებების დაცვისთვის კონვენციას და კანონს იშველიებს, მაშინ როდესაც ავიწყდება იმ ადამიანის უფლებები უკან მიპარვით, თავდასხმით, ვერაგულად თავს რომ „ანთხევინებს“ და სასიკვდილოდ იმეტებს. დ. ც დღემდე ახორციელებს მუქარას დაზარალებულზე, მის ოჯახის წევრებზე და მას მორიგი თავდასხმა აქვს გამიზნული, რასაც ადასტურებს 2015 წლის 29 აპრილის სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომ ანგარიშსწორების შემთხვევაში ის „თავს დაიცავდა“.

7. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

7.1 2015 წლის 24 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. რ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

7.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, ვინაიდან დგინდებოდა, რომ ადვოკატმა მ. რ-მა საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ. ც მოიხსენია როგორც „ვერაგი პიროვნება“, მისი ქმედებები „მის სითავხედეზე მიუთითებს“, „აღმკვეთი ღონისძიების დროს წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველგვარ მორალს, სინდისს და ადამიანურობასაა მოკლებული“, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი და მე-7 მუხლი, მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

7.3 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ მ. რ-ის მიერ, საჩივრის ავტორის - ადვოკატ დ. ც-ის, როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისა და კოლეგის მისამართით სასამართლოს შენობაში და წერილობით განცხადებებში გამოთქმული შემდეგი ფრაზები: „ვერაგი პიროვნება“, მისი ქმედებები „მის სითავხედეზე მიუთითებს“ „აღმკვეთი ღონისძიების დროს წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველგვარ მორალს, სინდისს და ადამიანურობასაა მოკლებული“ - შესაძლებელია სცილდებოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ზღვარს და ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვას წარმოადგენდეს.

7.4 კოლეგიამ ადვოკატ მ. რ-ის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის - ადვოკატ დ. ც-ის მისამართით გამოთქმულ მოსაზრებაში „„რამდენჯერ უნდა შერჩეს დ. ცს სხვისი ცემა, სხეულის დაზიანება, დაშანტაჟება და ათასი სხვა უბედურება!“, „ც. წარმოადგენს შსს ორგანოს მუშაკს, რომელიც ანალოგიური ქმედებისათვის არის გამოგდებული სამსახურიდან“, ვერ აღმოაჩინა უფლებისა თუ ინტერესის ხელყოფის ფაქტი.

II სამოტივაციო ნაწილი

8. საქმის ფატობრივი გარემოებები:

8.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კილეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატმა მ. რ-მა საჩივრის ავტორის მისამართით, სასამართლოსადმი და თბილისის პროკურორის სახელზე მიმართულ განცხადებებში აღნიშნა შემდეგი ფრაზა: *„ვერაგი პიროვნება“.*
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 02 მაისის განცხადება ძველი თბილისის პროკურორის სახელზე; (ს.ფ. 12)
2. 2014 წლის 19 სექტემბრის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სახელზე; (ს.ფ. 23)
3. მოწმე მ. ჯ-ის პოზიცია;

ადვოკატმა მ. რ-მა საჩივრის ავტორის მისამართით თბილისის პროკურორის სახელზე მიმართულ განცხადებაში აღნიშნა შემდეგი ფრაზები: *მისი ქმედებები „მის სითავხედეზე მიუთითებს“, აღმკვეთი ღონისძიების დროს წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველგვარ მორალს, სინდისს და ადამიანურობასაა მოკლებული“;* 2015 წლის 13 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დაწყებამდე, ადვოკატმა მ. რ-მა საჩივრის ავტორის მისამართით აღნიშნა შემდეგი ფრაზები: *„თავხედი“ „უსინდისო“, „მკვლელი“.*

1. 2014 წლის 04 ივნისის განცხადება ძველი თბილისის პროკურორის სახელზე; (ს.ფ. 13)
2. 2014 წლის 02 მაისის განცხადება ძველი თბილისის პროკურორის სახელზე; (ს.ფ. 12)
3. მოწმე მ. ჯ-ის პოზიცია;
4. მოწმე მ. კ-ს პოზიცია;
5. მოწმე ნ. ც-ის პოზიცია;

9. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. რ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

10. სამართლებრივი შეფასება:

10.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ მ. რ-ის მიერ არ დარღვეულა შემდეგი ნორმა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

10.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ დ. ც ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, 2015 წლის 24 მარტიდან ირიცხება ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრად. ადვოკატ მ. რ-ის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ წერილობითი და ზეპირი ფორმით გაკეთებული ზემოთაღნიშნული განცხადებები დათარიღებულია 2015 წლის 13 იანვრამდე, რა დროსაც დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის ავტორისა და ადვოკატ მ. რ-ის კლიენტის საქმის განხილვა (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი ს.ფ.42) და მოცემული დროისათვის, ადვოკატი მ. რ ვერ დაარღვევდა კოლეგიალობის პრინციპს, რადგან დ. ც არ ირიცხებოდა ადვოკატთა ერთიან სიაში. ეთიკის კომისია უფლებამოსილია აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით ადვოკატ მ. რ-ის ქცევა საჩივრის ავტორის მიმართ შეაფასოს

იმ დროიდან, როდესაც დ. ც გახდა ადვოკატთა ასოციაციის წევრი. დ. ც.-ის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაციაში" გაწევრიანების შემდგომი პერიოდისათვის მასსა და ადვოკატ მ. რ.-ს შორის კომუნიკაციის ფორმა სადაო არ არის. შესაბამისად, კომისიამ 2015 წლის 24 მარტამდე პერიოდისათვის ადვოკატ მ. რ-ის განცხადებები შეიძლება განიხილოს პროცესის მონაწილეთა მიმართ არსებული ვალდებულებების ფარგლებში.

10.3 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. რ-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

10.3.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

10.3.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

10.4 ადვოკატი, როგორც პირთა კანონიერი ინტერესების გამტარებელი და უფლებების დამცველი, თავისი პროფესიით წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს და მოცემულ პროცესში ადვოკატის საქმიანობის ინსტრუმენტებს წარმოადგენს პროფესიული უნარები, ნორმატიული და არანორმატიული ხასიათის აქტები და ყველა ის იურიდიული საშუალება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ - მოხდეს კლიენტის ინტერესების გათვალისწინება.

10.5 ადვოკატს ისევე, როგორც ყველა სუბიექტს აქვს კრიტიკის უფლება, თუმცა განსხვავებით სხვა სუბიექტებისაგან იგი წარმოადგენს სპეციალურ პირს და მისი ნებისმიერი წერილობითი და ზეპირი მიმართვა შერჩეული ფორმით შეფასდება მისი მიზნობრიობისა და სასამართლო სისტემაში არსებული წესების დაცვაში.

10.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილებაში იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს".

10.7 საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება შეზღჭილია პროფესიული ეთიკური ვალდებულებებითა და ქცევის ნორმებით, რომელთა დაცვა სავალდებულოა ადვოკატებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kyprianou v. Cyprus (განაცხადი: 73797/01, 15.12.2005) დაადგინა, რომ „ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს".

10.8 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 22 სექტემბრის №043/14 გადაწყვეტილებაში ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულების დაცვის მიზანთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ „ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ, ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებისაკენ. ეთიკის კომისია მიზანშეუწონლად მიიჩნევს ადვოკატის მიერ პირის მოხსენიებას შეურაცხმყოფელი

ეპითეტებით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რა შეხედულება ჰქონდა კლიენტს საჩივრის ავტორისადმი, ვინაიდან, ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული ღირსების შენარჩუნება და მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება...“

10.9 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. რ-ს გააჩნდა შესაბამისი კომპეტენტურობა და კომპეტენცია თუ როგორ/რა ფორმით უნდა ემოქმედა კლიენტის - დაზარალებულის ინტერესების დაცვისათვის პროკურატურასა და სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარეობისას.

10.10 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ პროკურატურისადმი მიმართულ განცხადებებში საჩივრის ავტორის თაობაზე შემდეგი ფრაზების აღნიშვნა: „ვერაგი პიროვნება“, *მისი ქმედებები „მის სითავხედეზე მიუთითებს“, აღმკვეთი ღონისძიების დროს წარმოთქმული მისი სიტყვა ყოველგვარ მორალს, სინდისს და ადამიანურობასაა მოკლებული“* წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების პროცესის მონაწილე პირის - ბრალდებულის შეფასებას და პიროვნულ მახასიათებელს, გამოწვეულს ემოციით და ნეგატიური დამოკიდებულებით. ადვოკატის მოცემული ქმედება არ წარმოადგენს ადვოკატის მხრიდან პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, არ წარმოადგენს იურიდიული დახმარების არც ერთ საშუალებას და არ ემსახურება მისი კლიენტის - დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვას და სცდება სამოქალაქო კრიტიკის ფარგლებს.

10.11 ადვოკატმა მ. რ-მა პროკურატურისადმი მიმართული წერილობითი განცხადებების შემდგომ, სასამართლოსაც მიმართა მსგავსი განცხადებებით ზეპირი და წერილობითი ფორმით. კერძოდ, საჩივრის ავტორი დაახასიათა შემდეგი ფრაზებით: *„თავხედი“ „უსინდისო“, „მკვლელი“, „ვერაგი პიროვნება“.* ნიშანდობლივია, რომ ადვოკატმა განმეორებით მოიხსენია პიროვნება უარყოფითად. აღნიშნული ქმედების მიზანს წარმოადგენდა სუბიექტური დამოკიდებულება და არა კლიენტის ანუ დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ მიმართული ქმედება. ზემოთ აღნიშნული ფრაზების სასამართლო შენობაში გაჟღერება იწვევს საზოგადოების ან მისი ნაწილის უარყოფით აღქმას ადვოკატის პროფესიისადმი.

10.12 ადვოკატ მ. რ-ის მიერ ზემოთაღნიშნული ფრაზებით საჩივრის ავტორის მოხსენიება წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოადგენდა სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგად ბრალდებულად მიჩნევის ფაქტობრივ და იურიდიული საფუძვლით გამოხატულ გარეგან გავლენას, აგრეთვე გასათვალისწინებელია მისი კლიენტისადმი ახლო ნათესაური კავშირი (შინაგანი გავლენა), რის გამოც ადვოკატის მოქმედება გასცდა პროფესიული საქმიანობის ფარგლებს და აღარ იყო საქმიანობის რელევანტური. მიუხედავად ამისა, ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი მონაწილე უნდა ცდილობდეს არ გასცდეს საქმიანობის მიზანს და არ დაარღვიოს პროფესიული წესები. ამიტომაც არის ის სპეციალური სუბიექტი - შუამავალი საზოგადოებასა და სასამართლოს შორის.

10.13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისცილინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობა. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

10.14 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ მ. რ-ის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატ მ. რ-ს დღეის მდგომარეობით დაკისრებული არ აქვს სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა სხვა დისციპლინური გადაცდომისთვის, ის წლებია რაც საადვოკატო საქმიანობას ეწევა და ეს არის მის მიმართ პირველი საჩივარი. გარდა ამისა, ადვოკატის მოსაზრებით, მას შეეძლო სხვაგვარად გამოეხატა თავისი პოზიცია ზეპირი და წერილობითი განცხადებების დროს, თუმცა საჩივრის ავტორის ამგვარი შეფასება გამოიწვია თავად საჩივრის ავტორის ქმედებებმა.

10.15 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილითა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №035/15 ადვოკატ მ. რ-ის /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთი უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/